

2020 წლის 6 თვის ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ (30 08)

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (30 08)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ -საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 08	საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება					7 735.0

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- მიღებული იქნა საგანგებო სიტუაციების და გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ შეტყობინებები (750,441), რომლებიც დამუშავებულ იქნა შესაბამისი მომიჯნავე სამსახურების მიერ და გაწეულ იქნა კოორდინირებული მუშაობა სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის კომპეტენციის ფარგლებში;
- ქვეყნის მასშტაბით ჩაირთო - 67 ვიდეოკამერა, საიდანაც - 51 არის ზოგადი ხედვის, ხოლო, 16 - ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა;

- ე.წ. „ჭკვიანი კამერების“ მიერ, ტექნიკური დათვალიერების არგავლის ფაქტებზე დაფიქსირებულ იქნა - 83215 სამართალდარღვევა;
- ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა - 15 სექციური რადარი, რომელიც ფარავს - 121 კმ-ს;
- ჩატარდა გადაუდებელ შემთხვევათა მენეჯერის პროგრამის - „ProQA“ საპოლიციო მიმართულების პროტოკოლების - 8, სახანძრო მიმართულების პროტოკოლების - 2, სამედიცინო პროტოკოლების - 3, განმეორებით სამედიცინო პროტოკოლების - 10; პროგრამული უზრუნველყოფის - 13 და ხარისხის მართვის - 1 ტრენინგი. გამოსწორდა რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი;
- 2020 წლიდან დღემდე, სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრის მიერ გადამზადნენ:
 - სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის საბაზისო ტრენინგი - 41 მონაწილე;
 - სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში დასანიშნი კანდიდატების 3 დღიანი გადამზადება პროგრამულ ნაწილში - 3 მონაწილე;
 - სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ - დისპეტჩერების ოპერატორებად გადამზადება - 19 მონაწილე;
 - სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ - კოორდინატორების ტრენინგი (მოტივაცია და გუნდურობა) - 10 მონაწილე;
 - სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ლიცენზირებული დაწესებულების შემოწმების სამმართველოს თანამშრომლები (ეფექტური კომუნიკაცია) – 15 მონაწილე;
 - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები (ERC პროგრამა) - 5 მონაწილე;
 - შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური (მაშველი) - დისპეტჩერიზაციის შემსწავლელი ტრენინგი – 20 მონაწილე;
 - მთავრობის ერთიანი ცხელი ხაზი (144) - სერვის პლიუსი - 125 მონაწილე;
 - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს თანამშრომლები (სერვის პლიუსი) - 19 მონაწილე;
 - ოჯახის ექიმების გადამზადება პროგრამულ ნაწილში - 166 მონაწილე.
- მომზადდა ყოველთვიური ანგარიშები შსს საპატრულო და კრიმინალური პოლიციის გამოძახებასთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებებისა და ინციდენტის ტიპების მიხედვით მათი განაწილების შესახებ; ასევე, მომზადდა ყოველთვიური ანგარიშები სამედიცინო ბრიგადების დაყოვნებების და სამედიცინო ქრონიკების შესახებ, თბილისის მასშტაბით;

- შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, მომზადდა და გაიგზავნა ექვსი ანგარიში ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით;
- მოქალაქეთა სატელეფონო გამოკითხვის შედეგების საფუძველზე მომზადდა მომსახურების ხარისხის მართვის ანალიზის დოკუმენტი, სადაც ძირითადი აქცენტები გაკეთდა სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორთა ოპერატიულობის და კომპეტენტურობის ხარისხზე მოქალაქეთა დამოკიდებულების შესახებ;
- სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული გარკვეული გამოძახებების ოჯახის ექიმებთან გადამისამართების, მათ მიერ საშედეგო ინფორმაციის სრულად ასახვის და ყოველივე ამის შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოების მიზნით, განხორციელდა საჭირო პროგრამული ცვლილებები;
- სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის სწრაფად და მარტივად მოძიების მიზნით, შეიქმნა მნიშვნელოვანი ბერკეტი - სამიეზო გვერდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბაზაში არსებული მონაცემების სხვადასხვა ჭრილში ნახვა;
- სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში COVID 19-ის შესაძლო შემთხვევებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოების მიზნით, განხორციელდა საჭირო პროგრამული ცვლილებები;
- ამოქმედდა სამთავრობო ერთიანი ცხელი ხაზი 144, რომლის ტექნიკური მხარდაჭერა, კადრების რეკრუტირება და პროგრამული უზრუნველყოფა მთლიანად განხორციელდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-მა;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ტექნიკური დახმარებით, განხორციელდა დროებითი მოთავსების იზოლატორების ვიდეოკამერებით აღჭურვა;
- დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, გაწეულ იქნა ევაკუატორით მომსახურების სერვისი როგორც შსს საპატრულო პოლიციისთვის, ასევე, სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის;
- განახლდა მუშაობა ტრანსნაციონალური ნომრების ბაზის პროექტზე, ითარგმნა ხელშეკრულება, რომელიც მზადდება საქართველოს მთავრობასთან გასაგზავნად;
- მომზადდა შეხვედრების, ღონისძიებებისა და სიახლეების თაობაზე პრეს-რელიზები, ფეისბუქზე და ვებგვერდზე განთავსდა ინფორმაციები, დაიბეჭდა სხვადასხვა პრომო და საინფორმაციო მასალა; მიმდინარე წლის 24 იანვარს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ს ეწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რაინლანდ-პფალცის პოლიციის აკადემიის სტუდენტები.